

## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპულ და ეროვნულ სააგენტოებში შემუშავებულ სტანდარტებს და ძირითად ვექტორებს/ მიმართულებებს.

აღნიშნული დოკუმენტი გამომდინარეობს და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიზნებთან და მისიასთან.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შვიდ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- 1) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარება;
- 2) უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება;
- 3) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარება;
- 4) უწყვეტი განათლების პროგრამების ხარისხის განვითარება;
- 5) საერთაშორისო პროგრამებისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის განვითარება;
- 6) საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის ჩართულობის ხარისხის ამაღლება;
- 7) უნივერსიტეტში სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმების ხარისხის გაზრდა.

### 1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარება მოიცავს:

ა) კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შერჩევას დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიხედვით და

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებული თანამშრომლების ტრენინგებს, მათი გადამზადების მიზნით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შერჩევის კუთხით გულისხმობს ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორებისა და სპეციალისტების შერჩევას ღია კონკურსის წესით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტების და კოორდინატორების გადამზადება უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: ხარისხის პროცედურები, პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება, სალექციო პროცესის ხარისხის კვლევა, სასწავლო რესურსების, სტუდენტებისა და პროფესორების სასწავლო და სამუშაო გარემოს ხარისხის შემოწმება, საინფორმაციო სისტემის ხარისხის მართვაში გამოყენება, პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კუთხით უნდა ჩატარდეს უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის ტრენინგები, სემინარები ადგილობრივ და უცხოელი კოლეგების მონაწილეობით, განახლდეს და გამოიცეს ახალი სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორებისა და სპეციალისტებისთვის, პროგრამის ხელმძღვანელებისთვის, პროფესორებისთვის და ადმინისტრაციისთვის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ მიმართულებით შემდეგი სამი წლის განმავლობაში გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის სპეციალისტებისა და კოორდინატორების სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს შემდეგი მიმართულებებით:

- ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესახებ;
- ეროვნული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცესში, ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების გამოცდილების დანერგვის საკითხების შესახებ;
- ორგანიზაციული მართვის, დაგეგმვისა და პროექტების მენეჯმენტში გამოცდილებისა და უნარების გამომუშავების შესახებ;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარების გამომუშავების შესახებ;
- პრობლემების გადაჭრის, ანალიზისა და უწყვეტი განათლების დაგეგმვისა და მართვის უნარების გამომუშავების შესახებ;
- დიპლომატიასა და უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის მგრძობელობაში უნარების გამომუშავების შესახებ, რაც გულისხმობს აკადემიურ პერსონალთან ეფექტიან კომუნიკაციას, კონფლიქტების მოგვარებას, აუდიტისა და დასკვნების მიწოდებას, კოლეგების პატივისცემას და კონფიდენციალურობას, სენსიტიური ინფორმაციის მართვას, კრიტიკული სიტუაციის მართვას და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების გამომუშავების შესახებ, რაც მოიცავს ანგარიშების, ანალიტიკური დოკუმენტების, რეკომენდაციების მომზადებას;
- პროფესიული განწყობის და დამოკიდებულებების გაზრდის შესახებ, რაც გულისხმობს ხარისხის კოორდინატორისა და სპეციალისტის უფლება-მოვალეობების გააზრებას პროფესიული ეთიკის საკითხებისა და ორგანიზაციული კულტურის საკითხებთან მიმართებაში;
- გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავების შესახებ, რაც მოიცავს გადაწყვეტილების მიღებაში სხვათა მონაწილეობას და მოქნილობას;
- პიროვნული მდგრადობისა და ობიექტურობის უნარების გამომუშავების შესახებ, რაც გულისხმობს კრიზისული სიტუაციების ეფექტიან მართვას, ადაპტირებას, დამოუკიდებელი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას;
- ტრენინგს ავტონომიისა და პროაქტიულობის საკითხებში.

აღნიშნული კომპეტენციების განვითარებისათვის მომდევნო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მოზიდვას გამოცდილების გაზიარების მიზნითა და არსებული მექანიზმების დასახვეწად. დაგეგმილია ფაკულტეტებზე პროგრამების განვითარების ჯგუფების შექმნა, ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობა სწავლების, სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების გამოცდილების გაზიარების კუთხით, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოების შემუშავების მიზნით.

## 2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება მოიცავს:

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას და მოქმედი პროგრამების მოდიფიცირებას; დადგენილი პერიოდულობით (სემესტრის დაწყების წინ) სილაბუსების გადახედვა-განახლებას;

ბ) გარეშე პროგრამული აუდიტის/შეფასების განხორციელებას არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ;

გ) უნივერსიტეტში ახალი აკადემიური და სამეცნიერო კადრების მოზიდვას;

დ) აკადემიური პერსონალის ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებით შევსებას;

ე) უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორების განვითარებას სამეცნიერო - კვლევით საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გზით;

ვ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და რესურსების შეფასებას (სემესტრის განმავლობაში ლექციებზე დასწრება და გამოკითხვების ჩატარება (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, პროგრამის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ა.შ).

ზ) სტუდენტთა მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო დატვირთვების ინიცირებას;

თ) საგამოცდო ტესტების ხარისხის გაუმჯობესებას (ტესტების ბაზების შექმნა და განახლება) და საგამოცდო პროცესის ხარისხის სრულყოფა (შეფასებასთან დაკავშირებული საჩივრების, წინადადებების განხილვის და საგამოცდო ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით).

ი) სასწავლო პროცესში სისტემა „გონის“ ეფექტური გამოყენების ხელშეწყობას და სისტემის პროგრამულ გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ჩამოთვლილი აქტივობები იგეგმება და ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმების საფუძველზე.

**3. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარება გულისხმობს:**

ა) სამუშაო შეხვედრებს სამეცნიერო და კვლევაში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებთან;

ბ) სამეცნიერო ნაშრომების შეფასების ინდიკატორების ცოდნას და მათი გამოყენებით ნაშრომთა შეფასების თანმიმდევრობის და ობიექტურობის გადახედვას;

გ) საგრანტო განაცხადების, პროექტების, ჯილდოების გაცემის განხილვაში მონაწილეობას და ჩართულობას; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობას ფაკულტეტიდან წარდგენილი პროექტების განაცხადებისა და სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის ანგარიშების განხილვაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წლის მანძილზე, სამეცნიერო - კვლევით დეპარტამენტთან კოორდინაციაში ახორციელებს აღნიშნულ აქტივობებს მათი სამუშაო გეგმიებიდან გამომდინარე.

**4. უწყვეტი განათლების პროგრამების ხარისხის განვითარება მოიცავს უწყვეტი განათლების სამსახურის და ფაკულტეტების გეგმიებიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობას, დაგეგმილი სასერთიფიკატო პროგრამების შეფასებაში, მათი ხარისხის განსაზღვრასა და განვითარებაში. უწყვეტი განათლების პროგრამების ხარისხის განვითარება მოიცავს:**

ა) წარმოდგენილი სასერთიფიკატო პროგრამების განხილვაში მონაწილეობას ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, დადგენილი ფორმებით აღნიშნულ პროგრამების შეფასებას;

გ) მონაწილეების მიერ პროგრამის შინაარსისა და პროცესების შეფასებას;

დ) მონაწილეთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას.

**5. საერთაშორისო პროგრამებისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის განვითარება მოიცავს:**

- ა) უცხოურ უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის პროექტების (ერთობლივი აკადემიური პროგრამების შემუშავების მიზნით) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობას;
- ბ) აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას;
- გ) საერთაშორისო მობილობის მსურველი (სტუდენტი, პროფესორი) კანდიდატების განხილვებში მონაწილეობას;

**6. საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის ჩართულობის (კონტრიბუციის) პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს:**

ა) საგანმანათლებლო-შემეცნებით, ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტული ღონისძიებებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ამაღლებას. ყოველი ასეთი აქტივობის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად, განახორცილებს მსმენელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების განხილვას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

**7. უნივერსიტეტში სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმების ხარისხის გაზრდის კუთხით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მოიცავს:**

- ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედ საკონსულტაციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ბ) ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან სტუდენტთა კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას;
- გ) კარიერული მხარდაჭერის სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას;
- დ) სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.